



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო87.8722284001

თარიღი:11/10/2022

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი № 11

ქ. ახმეტა 5 ოქტომბერი, 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსებ ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: შ.ხობობაშვილი, გ.ბართიშვილი, გ. ქიბროწაშვილი,

თ.ბორჩაშვილი, ხ.ირუაიძე, გ.შაშიაშვილი,

კ.მამულაშვილი, ზ.უძილაური, ბ.კაიშვილი,

ე.ბალაკაშვილი, გ.მამუჩარაშვილი, რ.გახუაშვილი,

დ.ავაზაშვილი, ლ. ვაჩეიშვილი, გ. ონიაშვილი,

ზ. ფიცხელაური, თ.მოზაიძე, გ.უძილაური,

გ. შორთიშვილი, ე. ფეტვიაშვილი, კ. მუხაური,

ფ.შიომღვდლიშვილი, შ. ტერტერაშვილი,

ე. მარკოზაშვილი, კ. მაზიაშვილი,

ლ. მუთოშვილი, ლ. ჭიჭიკოშვილი.

სხდომა გაიხსნა 12⁰⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხუთი ერთეული უძრავი ქონების (სოფლის ამბულატორიები) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N49-ში, მე-3 სართულზე მდებარე 22.4 კვ.მ ფართობის (ს.კ50.04.47.069) ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

5. ფიზიკური პირის ელისო ფხალაძის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების ს/კ 50.04.43.072 შეძენის თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის 219 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.04.35.297) ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას.

სხდომას ესწრება - 28 საკრებულოს წევრი

მომხრე - 17

მონაწილეობა არ მიიღო - 11 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ლ. მუთომვილი, ე. ფეტვიაშვილი, თ. მოზაიძე, გ. უძილაური, ფ. შიომღვიმელი, კ. მაზიაშვილი, კ. მუნაური, ლ. ჭიჭიკოშვილი.

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მომხსენებელმა მარინა მაისურაძემ წარმოადგინა პროექტი.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში (www.matsne.ge20.12.2021.ს/კ190020020.35.162.016552) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

დანართი თან ერთვის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის ცვლილების მიღებას.

სხდომას ესწრება 28 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17

მონაწილეობა არ მიიღო - 11 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ლ.მუთოშვილი, ე. ფეტვიაშვილი, თ. მოზაიძე, გ.უძილაური, ფ.შიომღვდლიშვილი, კ.მაზიაშვილი,კ.მუხაური,ლ. ჭიჭიკოშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება: № :58 „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

სხდომა დატოვა ლევან ვაჩიშვილმა.

მოისმინეს: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს დასაფინანსებელი ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი პროექტები თანდართული ნუსხის თანახმად.
2. დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს საპროექტო წინადადებების ინიცირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

დანართი თან ერთვის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 27 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17

მონაწილეობა არ მიიღო - 10 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ლ.მუთოშვილი,ე.ფეტვიაშვილი,თ.მოზაიძე,ფ.შიომღვდლიშვილი,კ.მაზიაშვილი, კ.მუხაური,ლ. ჭიჭიკოშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება: № 39 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხუთი ერთეული უძრავი ქონების (სოფლის ამბულატორიები) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

„სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 (ხუთი) ერთეული უძრავი ქონების - სოფლის ამბულატორიების სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა:

- ა) სოფელ ომალოში მდებარე ამბულატორიის შენობა და მასზე დამაგრებული 761 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, - საკადასტრო კოდი 50.07.33.347;
- ბ) სოფელ მატანში მდებარე ამბულატორის შენობა და მასზე დამაგრებული 662 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, - საკადასტრო კოდი 50.11.38.211;
- გ) სოფელ შახვეტილაში მდებარე ამბულატორის შენობა და მასზე დამაგრებული 270 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, - საკადასტრო კოდი 50.13.32.327;

დ) სოფელ ჯოყოლოში მდებარე ამბულატორიის შენობა და მასზე დამაგრებული 657 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, - საკადასტრო კოდი 50.07.31.243;

ე) სოფელ საკობიანოში მდებარე ამბულატორიის შენობა და მასზე დამაგრებული 159 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, - საკადასტრო კოდი 50.05.33.093.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 27 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 27

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 40 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხუთი ერთეული უძრავი ქონების (სოფლის ამბულატორიები) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N49-ში, მე-3 სართულზე მდებარე 22.4 კვ.მ ფართობის (ს.კ50.04.47.069) ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი -თეიმურაზ შამიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს - განახორციელოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ახმეტაში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N49-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის (საკადასტრო კოდი 50.04.47.069) მე-3 სართულზე, „C ” ბლოკში მდებარე 22.4 კვ.მ ფართობის ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა განუსაზღვრელი ვადით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 27 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 19

მონაწილეობა არ მიიღო - 10 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, ლ.მუთოშვილი,ე.ფეტვიაშვილი,თ.მოზაიძე,ფ.შიომღვდლიშვილი,კ.მაზიაშვილი, კ.მუნაური.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 41 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N49-ში, მე-3 სართულზე მდებარე 22.4 კვ.მ ფართობის (ს.კ50.04.47.069) ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მოისმინეს: ფიზიკური პირის ელისო ფხალაძის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების ს/კ 50.04.43.072 შეძენის თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შამიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს ახმეტის მუნიციპალიტეტის სახელით 15000 (ხუთმეტი ათასი) ლარად შეიძინოს ფიზიკური პირის - ელისო ფხალაძის (პირადი №18001000449) საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 293 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საკადასტრო კოდია 50.04.43.072.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 27 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 11 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ლ. მუთოშვილი, ე. ფეტვიაშვილი, თ. მოზაიძე, გ. უძილაური, ფ. შიომღვიმელი, კ. მაზიაშვილი, კ. მუხაური, ლ. ჭიჭიკოშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 42 ფიზიკური პირის ელისო ფხალაძის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების ს/კ 50.04.43.072 შეძენის თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის 219 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.04.35.297) ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის 219 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.04.35.297) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის:

ა) წლიური ქირის საწყისი საფასური საწყისი საპრივატიზებო საფასურის 7%-ით - 140.00 (ასორმოცი) ლარის ოდენობით;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 5 (ხუთი) წლით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 27 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 11 შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, გ. შორთიშვილი, ლ. მუთოშვილი, ე. ფეტვიაშვილი, თ. მოზაიძე, გ. უძილაური, ფ. შიომღვიმელი, კ. მაზიაშვილი, კ. მუხაური, ლ. ჭიჭიკოშვილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 43 ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახმეტაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის 219 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 50.04.35.297) ელექტრონული აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

საკრებულოს წევრმა, თინათინ მოზაიძემ აღნიშნა:

მივესალმები მერიაში „ახალგაზრდულ საბჭო“-ს შექმნას, რომელიც უკვე ფუნქციონირებს და რომლის მიზანია ახალგაზრდების ჩართულობა თვითმმართველობებში, მაგრამ ვთვლი, რომ ეს აქტივობები არ არის საკმარისი ძატი მოტივაციისთვის.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12:55 საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

